საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიდგულა

დიდგულა ყლორტი ნაყოფით

დიდგულა (Sambucus nigra), ტოტებგაშლილი ბუჩქი ან პატარა ხე ცხრატყავასებრთა ოჯახისა.

მისი სიმაღლეა 3–6 მ. აქვს მწვანე ყლორტები. ტოტები და ღერო დაფარულია მონაცრისფერო-ჩალისფერი ქერქით. დ-ს ღეროსა და ყლორტების გული თეთრი და რბილია. თეთრი ან მოყვითალო-მოთეთრო წვრილი ყვავილები შეკრებილია მსხვილ კენწრულ ფარისებრ-საგველა ყვავილედში. მოშავო-მოიისფრო კენკრასებრი ნაყოფი წვნიანია.

გავრცელებულია ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, მცირე აზიასა და კავკასიაში. საქართველოში თითქმის ყველგან არის გავრცელებული. ჩრდილის ამტანია. იზრდება ტყეში, ტყის პირებსა და ხევებში მთის შუა სარტყლამდე, უმთავრესად ტენიან ფერდობებზე.

დ-ს ქერქს, ყვავილსა და ნაყოფს იყენებენ მედიცინაში. ნაყოფს ხმარობენ აბრეშუმის ქსოვილების შესაღებად. დ. დეკორ. ბუჩქია.

ლ. ხინთიბიძე